პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 აპრილი სამშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი ● № 82 (14382)

ზეგმის გადამეტებით თუჯი, ფოლადი...

რუსთავი. (საკ. კორ.). სასახარულო ცნობები მოდის რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან. ლენინური შაბათობების მასობრივი მოწყობით მეტალურგებმა სრული მეტალურგიული ციკლით შესასრულეს მარტის სახელმწიფო დავალება. გეგმის გადამეტებით წარმოებულია დიდძალი თუჯი, კოქსი, ფოლადი, ნაგლინი, მილები.

წინა თვესთან შედარებით 2 პროცენტით გაიზარდა თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება, საწარმოში თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებული მოგება 10 ათას მანეთს დიდად აღემატება.

— ლენინური შაბათობანი, — თქვა ჩვენთან საუბარში ცნობილმა მეტალურგმა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. ფანკულაიამ, — უდიდეს როლს ასრულებენ არსებული შიდარეზერვების გამოყენებაში, ღუმელების წარმადობის ზრდაში, კაზმის მარაგის შექმნაში. ამიტომ ამ ნაცად მეთოდს ჩვენ მომავალშიც წარმატებით გამოვიყენებთ. 12 აპრილს, ლენინური შაბათობის 50 წლისთავზე, მასობრივად გამოვალთ და უსასყიდლოდ ვიშრომებთ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

□ □

მილიონთა ესტაფეტა ერთიანი ბიბლიოთეკა

12 აპრილს

მასობრივი კომუნისტური შაბათოობაა!

ჩვენ მივაღწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას.

ვ. ი. ლენინი

იკისრეთ? შეასრულე კიდეც!

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის, კერძოდ სოფლის მეურნეობის, შემდგომი განვითარება წინასწარ დასახული, დაზუსტებული გეგმის მიხედვით ხდება. საზოგადოებრივი მეურნეობის ჩასახვიდანვე, განსაკუთრებით კი პირველი ხუთწლიანი გეგმის მიღებიდანვე ჩვენს ქვეყანაში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა — მშრომელები საშეურნეო წლის დასაწყისშივე ვალდებულებებს კისრულობენ, რომ გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულონ.

და აი ახლაც, დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების დღეებში, ჩვენს ქვეყანაში კიდით-კიდემდე ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ყველა მშრომელია ჩაბმული ამ საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში.

საქართველოს სოფლის მშრომელები ამ უკანასკნელ წლებში თვალსაჩინო სამეურნეო წარმატებას აღწევენ. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის სოფლის მშრომელები მეოთხე წელია ზედიზედ ფართო ჩვენებით მონაწილეობენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის გამოფენაზე და უმაღლეს ჯილდოებს — პირველი ხარისხის დიპლომებს იღებენ. ხუთწლედის მეოთხე წელს კვლავ გაჩაღდა შეჯიბრება, სოფლის მშრომელებმა კვლავ ახალი ვალდებულებანი იკისრეს. ვალდებულებას გეგმის მსგავსად კანონის ძალა აქვს, ამიტომ ნაკისრი ვალდებულება უთუოდ უნდა შესრულდეს.

გასული წლების მაგალითით ვრწმუნდებით, რომ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში რესპუბლიკის მეტ წილ რაიონებში შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ. შეჯიბრებაში გამარჯვებულებს გადაეცათ რესპუბლიკური გარდამავალი დროშები. მეჩაიეობაში დროშებით დაჯილდოვდნენ: წალენჯიხის რაიონი (პირველი ჯგუფის რაიონებს შორის), წყალტუბოს რაიონი (მეორე ჯგუფის რაიონებს შორის), მებილეობაში — გორის, მეთამბაქოობაში — ხულოს, მეჭაფლეობაში — ხაშურის, მემარცლეობაში — წითელწყაროს, მებოსტნეობაში — გარდაბნის, მეკარტოფილეობაში — ახალციხის, მეცხოველეობაში — წითელწყაროს, მეაბრეშუმეობაში — ლაგოდეხის რაიონები.

რაიონების დაჯილდოების შესახებ პრესაში გამოქვეყნებულ ცნობაში ვკითხულობთ: 1968 წელს სიმინდის წარმოებისა და დამზადების მაჩვენებლებმა ვერ დააკმაყოფილეს დებულებანი გარდამავალი წითელი დროშის მინიჭების შესახებ და ამიტომ იგი არავის არ მიენიჭა.

ეს უთუოდ მეტად საგულისხმო ფაქტია. რესპუბლიკაში ბევრია ისეთი რაიონები, რომლებიც ადრე მესიმინდეობაში დიდ წარმატებებს აღწევდნენ და არათუ გეგმას, არამედ სოციალისტურ ვალდებულებებსაც გადამეტებით ასრულებდნენ. მაგრამ უკანასკნელ წლებში ამ მეტად სასარგებლო კულტურას რატომღაც ნაკლები ყურადღება ექცევა, შემცირდა ნათესი ფართობები, იკლო მოსავლიანობამ. ცხადია, ამან პირველ რიგში უარყოფითად იმოქმედა მეცხოველეობაზე. სიმინდს ხომ პირუტყვის კვების რაციონში წამყვანი ადგილი უჭირავს.

აბაშის, ზუგდიდის და სხვა რაიონებში, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში წინა წლებში სიმინდის უხვი მოსავალი მოჰყავდათ. გასულ წელსაც ამ რაიონებმა, სოცშეჯიბრების ვალდებულებებს რომ იღებდნენ, სიმინდის წარმოების მატებაც გაითვალისწინეს. მაგრამ რას სიტყვა მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

ვალდებულებებს როცა საქმეებად ვიღებთ, სამშობლოს, ხალხს, პარტიას რომ აღვუთქვამთ ხოლმე — გვიქნება ამა და ამ სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალიო, ეს კარგია. მისასალმებელია, მაგრამ კარგ სიტყვას ასეთივე კარგი შრომა თუ არ მოჰყვა, თუ ჩვენს სიტყვას პატივი არ ვეცით, საქმედ არ ვაქციეთ, მაშინ რა ფასი აქვს ასეთ ვალდებულებას!

რესპუბლიკაში ყურძნისა და ხილის დამზადების გეგმები უკანასკნელ წლებში გადამეტებით სრულდება, მაგრამ აქაც გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. შარშან ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 88 ცენტნერი იყო, ხოლო ხილისა — 30 ცენტნერი. მოწინავე საზოგადოებრივ მეურნეობებში ამ პროდუქტების წარმოების გეგმები ორმაგად შესრულდა. რაგომ ხდება, რომ ერთს შეუძლია სიტყვას საქმე მოაყოლოს, ხოლო მეორეს არა? მთავარი ის არის, რომ ზოგან თავიანთსავე სიტყვას პატივს არა სცემენ, ივიწყებენ იმას, რაც საზეიმოდ იკისრეს.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის მიზნით ამას წინათ ფართოდ გაჩაღდა სოცშეჯიბრება. პრესაში გამოქვეყნდა წითელწყაროს, სიღნაღის, ზუგდიდისა და ბოგდანოვკის რაიონებას ვალდებულებანი. მათ რესპუბლიკის ყველა მეცხოველეს მოუწოდეს გადააქციონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ინტენსიურ და შემოსავლიან დარგად. მათი მაგალითით მთელ რესპუბლიკაში გაჩაღდა მეცხოველეთა სოციალისტური შეჯიბრება, იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი. ამის შემდეგ საკმაო დრო გავიდა, დამთავრდა მომდინარე სამეურნეო წლის პირველი კვარტალი. ინიციატორებთან ერთად ბევრი რაიონის მეცხოველეებმა ისახელეს თავი, მაგრამ არიან ისეთი რაიონებიც, სადაც თავიანთსავე სიტყვას, პატივი არ სცეს, ვერ შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმები.

წალკის რაიონის მეცხოველეებმა ვერც ხორცისა და რძის, ვერც კვერცხის დამზადების პირველი კვარტალის გეგმები ვერ შეასრულეს. დმანისის რაიონმა კი ხორცის დამზადების კვარტალური გეგმა სანახევროდაც ვერ გაანაღდა. ხორცის დამზადების გეგმის შესრულებაში ჩამორჩა აგრეთვე გეგეჭკორის რაიონი. რძის დამზადებაში ჩამორჩნენ ახალციხის, საგარეჯოს, მარნეულის, წულუკიძის, ცაგერის რაიონები, კვერცხისაში — აფხაზეთის ასსრ რაიონები.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აქტივზე სოფლის მეურნეობის წარმოებისა და დამზადების ახალი გეგმები და ვალდებულებები დამტკიცდა. ** წელს სამშობლოს უნდა მივცეთ 90 ათასი ტონა მარცვალი, 300 ათასი ტონა ყურძენი, 215 ათასი ტონა ჩაის ნედლეული, 140 ათასი ტონა ხილი, 130 ათასი ტონა ბოსტნეული, 60 ათასი ტონა ხორცი, 150 ათასი ტონა რძე, 185 მილიონი ცალი კვერცხი და სხვა პროდუქტები.** ჩვენი სოფლის მშრომელებმა, კომუნისტებმა, რაიონებისა და საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა ამ საპატიო დავალების შესასრულებლად ყველა ღონისძიება უნდა იხმაროს.

გაზაფხული კვლავ ჭირვეულობს. თესვა, სავენახე და სხვა სამუშაოების დაწყება ძალზე დაგვიანდა. სოფლის მეურნეობის მუშაკებს სწორედ ახლა მართებთ მონდომების გამოჩენა. ხელსაყრელი ამინდი, ყოველი დღე, ყოველი საათი იმას უნდა მოახმაროს, რომ უთუოდ შესრულდეს საგაზაფხულო თესვისა და სხვა სამუშაოთა გეგმები. ამ საქმეში მეტი ორგანიზებულობა უნდა გამოიჩინონ პარტიის რაიკომებმა, რაისაბჭოს აღმასკომებმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოებმა, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა. მათ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის აქტიურად უნდა დარაზმონ სოფლის კომუნისტები, ყველა მშრომელი, რომ ახალი წარმატებებით შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცდამეათე წლისთავს.

სოფლის მშრომელის სიტყვა სერიოზული სიტყვაა, იგი უნდა შეასრულდეს!

□ ბორჯომის წიწვოვანი ტყის მასივებს ერთი მილიონი ძირი ნერგი შეემატება □ გაჩაღდა მასობრივი ლაშქრობა ლაფინჯამიის წინააღმდეგ □ შაბათობის მონაწილეთა წვლილი — 30 ათასი მანეთი ხუთწლედის ფონდში.

პირველი ლენინური შაბათობის გამოძახილი

ბორჯომელები ეხმაურებიან მოსკოველ რკინიგზელთა პატრიოტულ თაოსნობას

მოსკოველ რკინიგზელთა თაოსნობას — მიმდინარე წლის 12 აპრილს მოუწყოს მასობრივი კომუნისტური შაბათობა პირველი კომუნისტური შაბათობის 50 წლისთავის აღსანიშნავად — ფართოდ გამოეხმაურნენ ბორჯომის რაიონის მშრომელები. 3 აპრილს გაიმართა რაიონის მშრომელთა აქტივის წარმომადგენლების კრება, რომელმაც 4-დან 15 აპრილამდე გამოაცხადა ლენინური შაბათობების ათდღიანი და მოუწოდა რაიონის ყველა მშრომელთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ პატრიოტულ წამოწყებაში.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ ბორჯომის რაიონის მშრომელებს შაბათობების კარგი ტრადიცია აქვთ, რაც ხელს უწყობს მშრომელთა აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით. შრომისადმი ახალი, კომუნისტური დამოკიდებულების დამკვიდრებას.

ლენინურ შაბათობათა ათდღიურში გათვალისწინებულია ქალაქ ბორჯომის, რაიონის, დაბებისა და სოფლების კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოები, წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისა და ლაფინჯამიას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

ლენინურ შაბათობათა ათდღიურში მილიონი ძირი წიწვოვანი ნარგავით შეივსება ტყის გამეჩხერებული მასივები, გამწვანდება ბორჯომ-ტაშისკრისა და ბორჯომ-ბაკურიანის გზების ნაპირები; ქალაქ ბორჯომში ახალ (სილამაზის) ხიდთან მოეწყობა დიდი ქართული კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სკვერი, კეთილმოეწყობა და გამწვანდება ქალაქის მოედნები, სკვერები, მგზავრთა მოსაცდელი პავილიონები, ქალაქ ბორჯომთან შემაერთებელი მაგისტრალები; მოსალოდნელი წყალდიდობის წინააღმდეგ ქალაქის ფარგლებში 250 გრძივ მეტრზე განხორციელდება ნაპირგამაგრების სამუშაოები; წყალდიდობის ნარჩენებისაგან გაიწმინდება მდინარეების ბორჯომულასა და გუჯარულას კალაპოტები; შეგროვდება და გეგმის ზევით ჩაბარდება 50 ტონა ლითონის ჯართი; **12 აპრილის შაბათობაში მონაწილე მშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება — 30.000 მანეთზე მეტი შეტანილ იქნება ხუთწლედის რესპუბლიკურ ფონდში;** სოფლის მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ლაფინჯამიას საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებაში — მოჭრიან და გამოზიდავენ ლაფინჯამიასგან დაზიანებულ 500 კუბურ მეტრ ხე-ტყეს.

თაოსნობა მოიწონა პარტიის ბორჯომის რაიკომის ბიურომ და დაავალა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა კოლექტივებს და უზრუნველყონ მათი აქტიური მონაწილეობა ლენინურ შაბათობებში.

4 აპრილს სამუშაო დღის შემდეგ საწარმო-დაწესებულებათა 5.000-მდე მშრომელი გამოვიდა მიჩენილ უბნებზე სამუშაოდ ნიჩბებითა და თოხებით, ძალაყინებითა და წერაქვებით. მოსწავლეები ძველი ნარგავების შემობარვაზე, ბაღ-პარკების კეთილმოწყობა-გალამაზებასა და ახალი ნარგავებისათვის ორმოების ამოღებაზე მუშაობდნენ, მოზრდილები კი მდინარეების ნაპირების გამაგრებაზე, გზების დაზიანებული ადგილების შეკეთებაზე. წაღვერელმა შაბათობის მონაწილეებმა დაბის გასანათებელი ლამპიონების ორმოების ამოღებაზე იმუშავეს.

ასე იყო შაბათობის პირველი დღეს. საზოგადოებრივი შრომა კიდევ უფრო ფართო ხასიათს მიიღებს ლენინური შაბათობის ათდღიურის შემდგომ დღეებში.

დ. ჭიჭილეიშვილი,
გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი.



ვთვარისა მარგიანი ორი წლის წინათ მოვიდა თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკაში. მონდომებით შეუდგა შრომას. გამოცდილმა ოსტატებმაც არ დაიზარეს მისთვის ცოდნის გადაცემა. გულმოდგინებამ შედეგიც გამოიღო, მოკლე ხანში დაეუფლა მჭედველის რთულ პროფესიას და მოწინავეთა რიგებში ჩადგა. იგი ერთ-ერთი პირველი დადგა ლენინურ შრომის ვახტზე და ცვლის დავალებებს ყოველთვის 115-120 პროცენტით ასრულებს.

ჯიათურმარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს მოწინავე რკინიგზელმა ბ. ცერცვაძემ და სკრეპელის მემანქანემ ვ. მაჭარაშვილმა ხუთწლედის მეოთხე წელი-ლენინურ წელიწადად გამოაცხადეს და დიდი ბელადის დაბადების 100-წლისთავის აღსანიშნავად გაზრდილი ვალდებულება აიღეს. ახალგაზრდა მუშების სიტყვა და საქმე ერთია. ცვლაში ისინი 1,5 ნორმას ასრულებენ.

სურათებზე მარცხნივ — ვ. მარგიანი, მარჯვნივ — ბ. ცერცვაძე და ვ. მაჭარაშვილი.

ფოტო **რ. კაპარაგვასი** და **ა. მაჭარიანისა.**
(საქდესის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა კავშირ-მაროკოს ერთობლივი კომუნიკე

მისი უდიდებულესობის მაროკოს მეფის ჰასან II-ის მიწვევით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა მაროკოში 1969 წლის 1-დან 7 აპრილამდე.

ამ ვიზიტის მსვლელობაში, ნათქვამია საბჭოთა კავშირ-მაროკოს ერთობლივ კომუნიკეში, გაიმართა მოლაპარაკებები, რომელიც დიდი გულთადმით აღინიშნა და ურთიერთგაგებისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა.

საბჭოთა მხარემ, აღნიშნულია კომუნიკეში, ცხოველი ინტერესი გამოიჩინა იმ ხაქმიანობისადმი, რომელიც მისი უდიდებულესობის მეფე ჰასან II-ის ხელმძღვანელობით ხორციელდება მაროკოს ეკონომიური და სოციალური განვითარების მიზნით, და გამოთქვა სურვილი შეიტანოს თავისი წვლილი მაროკოს განვითარების გეგმების ამოცანათა რეალიზაციის საქმეში.

მაროკოს მხარემ კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა კავშირ-მაროკოს თანამშრომლობის კეთილნაყოფიერი განვითარების გამო.

მხარეებმა საჭიროდ ცნეს, რომ ორივე ქვეყანაში შეიქმნას საბჭოთა კავშირ-მაროკოსა და მაროკო-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებები.

ერთმანეთს გაუზიარეს რა აზრები საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ საკითხებზე, მხარეებმა კვლავ დაადასტურეს, რომ მისდევენ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, და კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მათი შეხედულებები მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე იდენტურია ან ერთმანეთს უახლოვდება.

მათ აღიარეს, რომ ევროპის კონტინენტზე მშვიდობის განმტკიცება დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და საყოველთაო მშვიდობის დაცვის საქმეში.

ორივე მხარემ დაგმო ის, რომ ისრაელი დაჟინებით ამბობს უარს დატოვოს არაბთა ყველა ოკუპირებული ტერიტორია, მათ შორის ქალაქ იერუსალიმის ანექსირებული არაბული ნაწილი. ახლო აღმოსავლეთში ვითარების გამწვავება, ხაზგასმულია კომუნიკეში, სერიოზულ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას.

მხარეებმა გადაჭრით დაგმეს რასისტული რეჟიმები, რომლებიც ხელისუფლების სათავეში დგანან სამხრეთ როდეზიასა და სამხრეთ აფრიკაში. მათ კმაყოფილებით აღნიშნეს პარიზში მოლაპარაკების ფაქტი და კვლავ დაუჭირეს მხარი ვიეტნამელი ხალხის უფლებას თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი უცხოეთის ჩაურევლად.

ორივე მხარეს მიაჩნია, ნათქვამია დასასრულ კომუნიკეში, რომ ნ. ვ. პოდგორნის ოფიციალური ვიზიტი მაროკოს სამეფოში და ამასთან დაკავშირებით აზრთა ურთიერთგაზიარება ახალი წვლილია საბჭოთა კავშირ-მაროკოს ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში, აგრეთვე მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში.

მაროკოს მეფე ჰასან II კმაყოფილებით დაეთანხმა წინადადებას ეწვიოს სსრ კავშირს.

□ □ □

ნ. ვ. პოდგორნის შეხვედრა ჰასან II-სთან

იშრანი, 6 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს შუადღემდე მოეწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნისა და მაროკოს მეფის ჰასან II-ის შეხვედრა. ამ შეხვედრის დროს ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ურთიერთსაინტერესო საკითხებზე.

ამავე დღეს მეფე ჰასან II-ემ საუზმე გამართა ნ. ვ. პოდგორნის პატივსაცემად.

სადილი მაროკოს მეფის პატივსაცემად

იშრანი, 6 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს საღამოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ სადილი გამართა მაროკოს მეფის ჰასან II-ის პატივსაცემად. სადილზე იყვნენ უფლისწული მულაი აბდალაჰი, მეფის კაბინეტის გენერალური დირექტორი დრის სლაუი, პრემიერ-მინისტრი მ. ბენჰიმა, სახელმწიფო მინისტრი, სამეფო კომიტეტის მეთაური ა. ბუტალები, მინისტრები, მაროკოს სამეფოს ელჩი საბჭოთა კავშირში ა. სბიჰი, აგრეთვე ნ. ვ. პოდგორნის თანმხლები პირნი და სსრ კავშირის ელჩი მაროკოში ლ. თ. პალამარჩუკი.

სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-მაროკოს მოლაპარაკება

იშრანი, 7 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). 6 აპრილს ნაშუადღევს გრძელდებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნისა და მაროკოს მეფის ჰასან II-ის მოლაპარაკება. მხარეებმა დაამაგრეს აზრთა ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირ-მაროკოს ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, განიხილეს აგრეთვე საერთაშორისო პრობლემები.

შეთანხმებულია საბჭოთა კავშირ-მაროკოს ერთობლივი კომუნიკე. მოლაპარაკება მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

მეკნესი, 7 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს მაროკოდან სამშობლოში გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც აქ 1-7 აპრილს ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა მაროკოს მეფის ჰასან II-ის მოწვევით.

მეკნესის აეროდრომზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი მოვიდა, მისთვის გამოყოფილი იფრანის რეზიდენციიდან მაროკოს მეფე ჰასან II-ესთან ერთად. იფრანისა და მეკნესის მოსახლეობამ გულთბილად გააცილა საბჭოთა სტუმარი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და მაროკოს მეფემ ჰასან II-ემ ჩაუარეს სპატაონ ყარაულის მწკრივს. ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირისა და მაროკოს სახელმწიფო ჰიმნები. გაისმა ერთი სალუტის ზალპები. ნ. ვ. პოდგორნი გამოეთხოვა მეფე ჰასან II-სა და გამცილებლებს და თვითმფრინავში ავიდა.

მთავროგის ჯილდოების გადაცემა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში ახლახან გაიმართა სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების, სსაატ-ი წოდებათა მინიჭების საგანგებო სხდომა. ამ ჯილდოებს ამ სესიაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სგელების გადაცემა. თვალსაჩინო შეცნიერები, ხელოვნების მოღვაწენი, მედიცინის მუშაკები, მექანიზატორები, არქიტექტორები — სხვადასხვა პროფესიისა და სპეციალობის ადამიანები შეიკრიბნენ აქ, რათა მიეღოთ მაღალი ჯილდოები ხალხის საკეთილდღეოდ გაწეული თავისი თავდადებული და ნაყოფიერი შრომისათვის.

დარბაზში შეკრებილებმა მოისმინეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებიც წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ს. ა. კვაჭაძემ.**

ჯილდო პირველმა მიიღო თბილისის საქალაქო სადენინერეციო სადგურის მთავარმა ექიმმა **ს. ლ. ჭიჭოძემ,** რომელსაც მიენიჭა **სოციალისტური შრომის გმირის** სპატაონ წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ს. ძოწენიძემ** მას გადასცა **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და უროო“, აგრეთვე მოწმობა.

„**სპატაონ ნიშნის**“ ორდენი მიიღო პოეტმა **ი. ე. ნონეშვილმა,** რომელსაც ეს ჯილდო მიენიჭა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით.

მთავრობის ჯილდოები გადაეცა აგრეთვე სხვადასხვა პროფესიების ადამიანებს.

დაჯილდოებულთა სახელით გამოსულებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის, აღნიშნეს, რომ მთავრობის ჯილდოები, სსაატ-ი წოდებათა მინიჭება მათ ბევრ რამეს ავალებს, აღაფრთოვანებს კიდევ უფრო მეტი თავდადებული შრომისათვის სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ს. ძოწენიძემ** გულთბილად და გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ და იმათ, ვისაც სსაატ-ი წოდება მიენიჭა, უსურვა მათ ჯანმრთელობა, შემდგომი ნაყოფიერი შემოქმედებითი წარმატებანი.

□ □

თურქეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლები თბილისში

7 აპრილს ლენინგრადიდან თბილისში ჩამოვიდა თურქეთის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დელეგაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იმყოფება სრულიად საკავშირო სავაჭრო პალატის მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს თურქეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატების კავშირისა და სავაჭრო ბირეთის თავმჯდომარე სირი ენვერ ბათური.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ. ელიგულაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თ. მოსაშვილი და სხვები. (საქდესი).

ურთიერთკონტაქტები სავაჭრო ურთიერთოგის განვითარების გზაა

თურქეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლები, რომლებსაც ამეთაურობს თურქეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატების კავშირისა და სავაჭრო ბირეთის თავმჯდომარე სირი ენვერ ბათური, 7 აპრილს ეწვივნენ საქართველოს სავაჭრო პალატას. სტუმრებს მიესალმა სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ. ელიგულაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ პირადი კონტაქტების გაფართოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა შორის ურთიერთგაგების დამყარებისათვის, ნდობისა და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის. მან დელეგაციის წევრებს გააცნო საქართველოს სავაჭრო პალატის საქმიანობა.

სირი ენვერ ბათურმა მასპინძლებს გადასცა სალამი თავისი კოლეგებისაგან, რომლებიც საქართველოში იყვნენ ორი წლის წინათ. აქ ჩამოვედით, განაცხადა მან, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ პირადი კონტაქტები ხელს შეუწყობენ თურქეთისა და საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას. ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა, ხაზი გაუსვა სირი ენვერ ბათურმა, ყველა სხვა ურთიერთობის გასაღებია.

თურქეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლები გაეცნობიან რესპუბლიკის დედაქალაქის ცხოვრებას, წავლენ რუსთავსა და ბათუმში. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

პარტიული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფების ხელმძღვანელთა სემინარი

დამთავრდა პარტიის საოლქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების ლექტორთა ჯგუფების ხელმძღვანელების, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციათა პასუხისმგებელი მდივნების ოთხდღიანი სემინარი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყო. სემინარი მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის მზადებას.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები და მოხსენებანი პროფესორ ი. მირცხულავასი — „სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია და თანამედროვეობა“, პროფესორ ო. ბაკურაძისა — „საბჭოთა ადამიანების კომუნისტური რწმენის შემდგომი განმტკიცება“, პროფესორ ბ. ლუტიძისა — „ვ. ი. ლენინი სოციალისტური დემოკრატიის შესახებ“, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ნ. ფავფავაძისა — „მარქსისტული ფილოსოფიის ლენინური ეტაპი და თანამედროვეობა“, დოცენტ ვ. მელქაძისა — „ეკონომიური მეცნიერების განვითარების ლენინური ეტაპი და თანამედროვეობა“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბ. კაციტაძისა — „ვ. ი. ლენინი იმპერიალიზმის იდეოლოგიური დივერსიებისა და საბჭოთა ადამიანების რევოლუციური სიფხიზლის ამაღლების შესახებ“, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნის ბ. ეღენდისა — „ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავება საბჭოთა ხელისუფლების წლებში“, ი. ონიაშვილისა — „ქართული ლიტერატურა საზღვარგარეთ“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. ციციაშვილისა — „იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავების მიზეზები და ხასიათი თანამედროვე ეტაპზე“, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების შტატგარეშე ლექტორის ვ. შიუკინისა — „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელის ზ. მებზუევიშვილისა — „ლექციური პროპაგანდის ამოცანები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით“.

მოხსენება თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური მუშაობის ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. სტურუამ.**

სემინარის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება. (საქდესი).

როცა მუშახელი აკლიათ

ამაზე უკვე არაერთხელ ითქვა და დაიწერა, მაგრამ სამშენებლო მოედნები დღემდე მაინც განიცდიან მუშახელის ნაკლებობას. მუშახელი აკლია მშენებლობაზე. მომუშავე თითქმის ყველა ორგანიზაციას. როგორც ცნობილია, აზოტოვანი სასუქების მეორე რიგი, ამიაკისა და კარბამიდის მძლავრი საწარმოები საექსპლოატაციოდ მესამე კვარტალში უნდა გადაეცეს. მშენებლები ამ ვადაში რომ ჩაეტიონ, საჭიროა მშენებლობაზე ყოველდღიურად 1.800-2.000-მდე კაცი მუშაობდეს. ფაქტიურად კი ამ მუშაობა რიცხვი დღეში 800-1.000 არ აღემატება. სწორედ მუშახელის ნაკლებობის გამო მოხდა ის, რომ თბილისელიზაციისა და ლითონკონსტრუქციის სამმართველოებმა აქამდე ვერ დაამთავრეს ზაფხაცივრების და აზოტმეავას საცავების, აგრეთვე ამიაკის მაცივარ-დანადგარების ჯერ კიდევ შარშან დასამთავრებელი სამუშაოები. მუშახელის ნაკლებობას განსაკუთრებით გაწიდგან ისეთი მსხვილი ობიექტები, როგორიც არის კარბამიდის საამქრო, წყლის მეურნეობა, საამქროთაშორისო მილგაყვანილობანი და სხვ.

ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად მშენებლობაზე კვლავ რჩება მასალებისა და დანადგარ-მოწყობილობის უქონლობა. ბევრი ქარხნის ხელმძღვანელი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებს ამ ობიექტის მეტად დიდ მნიშვნელობას და არ ასრულებს ზემდგომი ორგანოების მითითებას — მშენებლობას დროულად მიაწოდონ საჭირო პროფილის ესა თუ ის დანადგარ-მოწყობილობა. ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავენ ქ. პენზის ქარხანა „პენზხიმმაში", ქ. სვერდლოვის ქარხანა „ურალხიმმაში" და კუტაისის არმატურის ქარხანა.

ქიმიურ კომბინატში დაგეგმილებს ციფრები, რომლებიც იმაზე მიუთითებენ, თუ რა უდარდელად ეკიდებიან მომწოდებელი ორგანიზაციები ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეს. მაგალითად, წელს პირველ კვარტალში ქიმიურ კომბინატს უნდა მიეღო 230 ერთეული დანადგარ-მოწყობილობა, მიღებულია მხოლოდ 55; 3.500 ერთეული არმატურისა და საკვალთის ნაცვლად მიღებულია 899 ერთეული. ასევე სანახევროდაც არ არის მიღებული საკონტროლო საზომი ხელსაწყოები, კაბელი და ელექტრომოწყობილობა..

ბევრი შეკვეთა ქიმიურ კომბინატს რესპუბლიკის ქარხნებმა უნდა შეუსრულონ, მაგრამ იმის გამო, რომ დამკვეთი მათ ვერ უზრუნველყოფს ლითონითა და სხვა მასალებით, არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს არსტანდარტული მოწყობილობის დამონტაჟება. აღნიშნულ ლითონს და მასალებს კი დამკვეთს არ აძლევენ მომწოდებელი ორგანიზაციები. მაგალითად, წელს პირველ კვარტალში აქ ფონდით უნდა მიეღოთ 1298 ტონა ლითონი, მიიღეს მხოლოდ 888 ტონა.

მშენებლობაზე ნაწილობრივ უკვე შეუდგნენ გასაშვები ობიექტების სამოლოო დამთავრების გრაფიკების შედგენას. საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ ასეთი გრაფიკები, რომლებიც კონტროლის საუკეთესო ფორმაა, გულმოდგინედ იქნას შედგენილი ყველა ობიექტზე. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, როგორც წესი, იწყება აგრეგატების გამოცდა, გაწყობა, გასწორება, სამუშაო რეჟიმზე გადაყვანა. ამ სამუშაოების განსახორციელებლად ქიმიურმა კომბინატმა, როგორც დამკვეთმა, უკვე გააფორმა ხელშეკრულებანი ტრესტ „ორგქიმთან". ეს უკანასკნელი შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას, მაგრამ აღებული ტემპი დაბალია.

მართალია, დამკვეთი — ქიმიური კომბინატი მრავალ ქმედითს ღონისძიებას ახორციელებს, რათა უზრუნველყოს მშენებელ-მემონტაჟე ორგანიზაციები (მათი რიცხვი 15 აღწევს) მასალებით, მოწყობილობით, სამუშაო ინსტრუქციებით, სხვადასხვა ტექნიკური საბუთებით, მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ არის, ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლიათ მშენებლებს. კომბინატის მომარაგების მუშაკებმა მეტი აქტივობა უნდა გამოიჩინონ.

უკვე დროა სერიოზული ყურადღება მიექცეს ახალი ქიმიური ობიექტებისათვის სათანადო კადრების მომზადებას. ცხადია, კადრების ერთი ნაწილი ადგილზე მომზადდება, მაგრამ ბევრი მათგანი ალბათ რუსეთისა და უკრაინის მონათესავე ქიმიურ საწარმოებში უნდა გაიგზავნოს. ეს საკითხი დროულად მოსაგვარებელია.

სამწუხაროდ, ერთხელ კიდევ გვიხდება ლაპარაკი იმაზე, რომ მშენებელ-მემონტაჟეებს შექმნილი არა აქვთ სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები. სამშენებლო მოედნებზე არ არის სასმელი წყალი, არ მუშაობს ბანაობები, სამშენებლო მოედნებზე მისასვლელი გზები ცუდ მდგომარეობაშია.

ბაზმი „კომუნისტის" საგუშაგო რუსთავის ქიმიური კომბინატის მეორე რიგის მშენებლობაზე: გ. დემეტრაშვილი, ქიმმრეწვმშენის სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი; ა. რუბანი, ოვერატიული მტბიერი; ბ. ქირია, სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის შტაბგარეშე განყოფილების გამგე; ზ. მირკვილაძე, „კომუნისტის" სპეც. კორ.



ᲛᲣᲓᲐᲛ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲐ ᲤᲝᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ. ᲐᲥ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲖᲘᲗᲕᲚᲘᲗ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ 55; 3.500 ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲛᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲕᲐᲚᲗᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ 899 ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲜᲐᲮᲔᲕᲠᲝᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲝ ᲡᲐᲖᲝᲛᲘ ᲮᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘᲡ, ᲙᲐᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ..

ᲑᲔᲠᲘ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲐ ᲥᲘᲛᲘᲣᲠ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲝᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘ ᲛᲐᲗ ᲕᲔᲠ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲗ, ᲐᲠᲐᲓᲐᲛᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲐᲠᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲚᲘᲗᲝᲜᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲐᲫᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲬᲝᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲝᲕᲘ, ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲗ 1298 ᲢᲝᲜᲐ ᲚᲘᲗᲝᲜᲘ, ᲛᲘᲘᲦᲔᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 888 ᲢᲝᲜᲐ.

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲣᲓᲒᲔᲜᲔᲡ ᲒᲐᲡᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲭᲝ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲘᲡ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲖᲐᲓᲒᲔᲜᲐᲡ. ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲣᲚᲝᲑᲐ, ᲒᲣᲚᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔᲓ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲘ. ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ-ᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲝᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲕᲔᲠ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝᲕᲘ, ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲝᲪᲓᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡი.

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘ — ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲥᲛᲔᲓᲘᲗᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲡ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲛᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲔ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘ ᲐᲠᲐᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲚᲘᲗᲝᲜᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲐᲫᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲬᲝᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲝᲕᲘ, ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲗ 1298 ᲢᲝᲜᲐ ᲚᲘᲗᲝᲜᲘ, ᲛᲘᲘᲦᲔᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 888 ᲢᲝᲜᲐ.

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲣᲓᲒᲔᲜᲔᲡ ᲒᲐᲡᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲭᲝ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲘᲡ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲖᲐᲓᲒᲔᲜᲐᲡ. ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲣᲚᲝᲑᲐ, ᲒᲣᲚᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔᲓ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲖᲔ. ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ-ᲡᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘ, ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲐᲒᲠᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ, ᲒᲐᲬᲧᲝᲑᲐ, ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ, ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲧᲕᲐᲜᲐ. ᲐᲛ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡი.

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘ — ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲥᲛᲔᲓᲘᲗᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲡ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲛᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲔ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘ ᲐᲠᲐᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲚᲘᲗᲝᲜᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲐᲫᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲬᲝᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲝᲕᲘ, ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲗ 1298 ᲢᲝᲜᲐ ᲚᲘᲗᲝᲜᲘ, ᲛᲘᲘᲦᲔᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 888 ᲢᲝᲜᲐ.

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲣᲓᲒᲔᲜᲔᲡ ᲒᲐᲡᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲭᲝ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲘᲡ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲖᲐᲓᲒᲔᲜᲐᲡ. ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲣᲚᲝᲑᲐ, ᲒᲣᲚᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔᲓ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲖᲔ. ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ-ᲡᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘ, ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲐᲒᲠᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ, ᲒᲐᲬᲧᲝᲑᲐ, ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ, ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲧᲕᲐᲜᲐ. ᲐᲛ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡ.

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘ — ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲥᲛᲔᲓᲘᲗᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲡ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲛᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲔ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘ ᲐᲠᲐᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚ ᲚᲘᲗᲝᲜᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲐᲫᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲬᲝᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲝᲕᲘ, ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲗ 1298 ᲢᲝᲜᲐ ᲚᲘᲗᲝᲜᲘ, ᲛᲘᲘᲦᲔᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 888 ᲢᲝᲜᲐ.

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲣᲓᲒᲔᲜᲔᲡ ᲒᲐᲡᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲭᲝ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲘᲡ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲖᲐᲓᲒᲔᲜᲐᲡ. ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲣᲚᲝᲑᲐ, ᲒᲣᲚᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔᲓ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲖᲔ. ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ-ᲡᲐᲛᲝᲜᲢᲐᲟᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘ, ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲐᲒᲠᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ, ᲒᲐᲬᲧᲝᲑᲐ, ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ, ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲧᲕᲐᲜᲐ. ᲐᲛ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡ.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეკონომიური და ფინანსური საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის

საქართველოს საფინანსო მუშაკთა თათბირი

□ □

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ შესანიშნავი წარმატებებით დაამთავრეს რესპუბლიკის მშრომელებმა. სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში მაღალმა მაჩვენებლებმა ხელშემწყობი პირობები შექმნეს ბიუჯეტის შემოსავლის წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, უზრუნველყვეს იმ ღონისძიებათა სრული და დროული განხორციელება, რომლებიც სახალხო-სამეურნეო გეგმითა და ბიუჯეტით არის გათვალისწინებული.

შარშან მიღწეული წარმატებანი კიდევ უფრო მაღალ და პასუხსაგებ ამოცანებს სახაელ რესპუბლიკის საფინანსო ორგანოების მუშაკთა წინაშე, მათ მთელი ფუალადი რესურსები უნდა მოსახმარონ კარტისა. და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების შესრულების უზრუნველყოფას, საფინანსო ორგანოების მუშაკებმა წელს ყოველნაირად უნდა გააძლიერონ ეკონომიური მუშაობა და კონტროლი. ხელი შეუწყონ ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას.

გასული საფინანსო წლის შედეგების განხილვასა და მიმდინარე წლის ამოცანებს მიეძღვნა საფინანსო მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც 7 აპრილს გაიმართა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში. თათბირზე მოიწვიეს აგრეთვე სამინისტროთა, უწყებათა, დიდ საამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

რესპუბლიკის საფინანსო ორგანოების შარშანდელი მუშაობა საფუძვლიანად გაანალიზა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა ა. ᲨᲘᲠᲐᲫᲘᲫᲔ. მოხსენებაში „საქართველოს სსრ 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგები და რესპუბლიკის საფინანსო ორგანოების 1969 წლის ამოცანები".

შარშან, აგრეთვე მიმდინარე წლის გასულ თვეებში, აღნიშნა მომხსენებელმა, რესპუბლიკამ ახალი წარმატებანი მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. წარმატებით შესრულდა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა, შრომის ნაყოფიერება შარშანდელთან შედარებით გაიზარდა 5 პროცენტით, რაც ბევრ საწარმოში საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის და ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვის შედეგი იყო. კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოკრეფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს მნიშვნელოვნად მეტი ჩაი, ჟურჟენი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები, ვიდრე 1967 წელს.

გაიზარდა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა, გაფართოვდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი და გადიდდა მომსახურების მოცულობა, მიღწეულია ახალი წარმატებანი სახალხო განათლებისა და კულტურის განვითარებაში, გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების სწრაფმა ტემპმა ხელშემწყობი პირობები შექმნა ბიუჯეტს შემოსავლის ხელიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, საშუალება მოგვცეს კვლავით და დროულად დაგეგეფინანსებინა სახალხო-სამეურნეო გეგმითა და ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ 1968 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტები მთლიანად და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა.

შარშან სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ მოახდინა საქართველოს სს რესპუბლიკის 1967-1968 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების რევიზია. რევიზია იყო არა მარტო ჩვენი საფინანსო ორგანოების მუშაობის შემოწმება, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ჭირაქაძემ, არამედ შესაძლებლობა მოგვცა ღრმად და ყოველმხრივ გაგვანალიზებინა მეურნეობის ძირითადი დარგების საწარმოთა და ორგანიზაციათა საწარმოო-ფინანსური საქმიანობა, გულდასმით შეგვემოწმებინა სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა მუშაობა, დაგვესახა არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, მთელი ეკონომიური და საკონტროლო მუშაობის გაუმჯობესების, მომდინარე წელს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულების უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებანი.

შარშან, თქვა შემდეგ, მომხსენებელმა სამინისტროს აპარატისა და რესპუბლიკის მთელი საფინანსო ორგანოების მუშაობა მიმდინარეობდა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს იმ სახელმძღვანელო მითითებათა მესრულების ნიშნით, რომლებითაც ჯერ-ჯერობა ეკონომიური და საკონტროლო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, დამატებითი რეზერვების გამოძებნა სახალხო მეურნეობაში, სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობით ხარჯვა.

სახელმწიფო შემოსავალში შეტანილთა გ

საქართველოს სოფჭრა

მსოფლიო დღეს
ქრონიკა
დეპეშათა სააგენტოს ინფორმაციით

ქრონიკა ● კრონგლომეგები

საბჭოთა კავშირ-მაროკოს თანამშრომლობის ინტერესებისათვის

ნ. ვ. პოდგორნის განცხადება პრესისათვის

იფრანი, 6 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). მარაკეშიდან იფრანამდე მთელ 400 კილომეტრ გზაზე, რომელიც გადის მთის უღელტეხილებსა და თვალწარმტაც ხეობებზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნისა და მის თანხლებულ პირებს მეგობრულად ხვდებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლნი და ცენტრალური მაროკოს მოსახლეობა.

მაროკოსა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთული ბაღრკანის, ტადლის, ბენიმელალის, ჰენფრის, აზრუს და სხვა ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებნი ცდილობდნენ გამოეხატათ საბჭოთა ხალხისა და მისი წარმომადგენლებისადმი მეგობრობისა და გულწრფელი სიმპათიის გრძნობები. „ბენიმელალის მოსახლეობა დიდი სიხარულით მიეგებება მაროკოსა და სსრ კავშირის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას", „ზეიმით აღვნიშნავთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ჩამოსვლას ჩვენს ქალაქში", — „სალამი საპატიო სტუმარს" — რუსულ და არაბულ ენებზე წარწერილი იყო ტრანსპარანტებზე, რომლებითაც გზაში ხვდებოდნენ საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ სტუმრებს.

ათეულათასობით ადამიანი გამოვიდა ამ ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში, რომლებიც გაიარეს საბჭოთა სტუმრებმა. ლამაზ ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილი თვითმფრინდი ანსამბლები სრულებდნენ მისასალმებელ სიმღერებს ხალხურ საკრავთა ორკესტრების აკომპანემენტით.

განსაკუთრებით ხალხმრავალი და გულითადი იყო შეხვედრები ქალაქ ბენი-მელალში — ამავე სახელწოდების პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრში, აგრეთვე ჰენფრში.

იფრანში მიმავალმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გზაში დაბა ტადლაში დათვალიერა ზაქრის ქარხანა — ეროვნული საწარმო, სადაც 700-ზე მეტი მუშაა დასაქმებული. ქარხანის პროდუქცია, რომელიც შეადგენს 45 ათას ტონა ზაქარს წელიწადში, საშინაო ბაზარზე გადის. საბჭოთა სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ საწარმოს მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი.

იფურერში (ბენი-მელალის პროვინცია) ნ. ვ. პოდგორნი და მისი თანმხლები პირები გაეცნენ ამ ქვეყნის უდიდესი სარწყავაციო პროექტის განხორციელების სამუშაოთა მიმდინარეობას. სარწყავ მიწებზე მოჰყავთ ციტრუსები, ბამბა და ბრსტნეული.

გუშინ გვიან საღამოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი ჩამოვიდა ქალაქ იფრანში, რომელიც შუა ატლასის მთებში მდებარეობს. მას შეეგებნენ მაროკოს მეფე ჰასან II, მემკვიდრე პრინცი მულაი მოჰამედი და

• მთავროგის რეორგანიზაცია

ლონდონი, 7 აპრილი. (საკდესი). სამხრეთ იემენის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა კახთან მუჰამედ აშ-შაბამ საგარეო საქმეთა მინისტრი ფეისალ ამდელ ლატიფ აშ-შაბი დანიშნა პრემიერ-მინისტრის პოსტზე. იუწყება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ადენიდან. დღესდე კახთან აშ-შაბის ოვითონვე ეკავა ეს პოსტი.

წინა კაბინეტის შემადგენლობიდან ოთხი მინისტრი ახლებით შეიცვალა. ფეისალ აშ-შაბი ინარჩუნებს საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელსაც.

რაზე წერს ეცხოეთის პრესა

ყოველი მხრიდან

7 აპრილი

უცხოეთის პრესა იუწყება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის მოსახლეობა ყველგან გულთბილად ხვდებოდა. აღნიშნავენ, რომ მოლაპარაკება ნ. ვ. პოდგორნისა და მაროკოს მეფეს ჰასან მე-2-ს შორის მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

საზღვარგარეთის პრესის ფურცლებზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვიეტნამის თემას. „ნიუ-იორკ ტაიმსი" საინფორმაციო კორესპონდენტი იუწყება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავარმა გადაწყვიტა გაგზავნოს სამხრეთ ვიეტნამში მოდერნიზებული ტიპის სარაკეტო თვითმფრინავები „ფანტომი", რომლებიც გადიდებული სიჩქარით და უფრო თანამედროვე შეიარაღებით გამოირჩევა. ფრანგული „ოლორი" იუწყება, რომ პარიზში ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოვიდა საიგონის რეჟიმის „ეკიცე-პრეზიდენტი" კი, და ბანს უსვამს, რომ მან მიაღწია „ამერიკის დახმარების" გადიდებას.

მასალებში ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ უცხოეთის გაზეთები წერენ, რომ ისრაელის მმართველნი დაუინებით ამბობენ უარს დაადგნენ **კონფლიქტის** მშვიდობიანი **მოწესრიგების გზას.** „ნიუ-იორკ ტაიმსი", კერძოდ, აღნიშნავს, რომ ისრაელის მთავრობა აპირებს კელავაც შეინარჩუნოს არაბთა ოკუპირებული ტერიტორიები.

ამერიკის პრესაში და დასავლეთის სხვა ქვეყნების გაზეთებში დიდ ადგილს უთმობენ მასობრივი ომის საშინაალმდეგო დემონსტრაციებს, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარეობს. პარიზის „ლუმანიტე" იუწყება, რომ მანიფესტაციები ათი-ათასობით კაცის მონაწილეობით გაიმართა ამერიკის 32 ქალაქში. „ფიგარო" აღნიშნავს, რომ ეს იყო პირველი მასობრივი დემონსტრაციები ვიეტნამის ომის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ნიქსონი.

ინგლისის პრესა ვრცლად აშუქებს მდგომარეობას ინგლისის ჯარების მიერ ოკუპირებულ ინგლისის კუნძულზე. გაზეთები იუწყებიან, რომ ინგლიის მოსახლეობის ლიდერმა უებსტერმა მოუწოდა ინგლისის მთავრობას ერთკვირის განმავლობაში გაიყვანოს ჯარები კუნძულიდან და მოიმაროს კუნძულს ინგლისელი გენერალტორი. „დეილი მირორი" აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობა უარს ამბობს დაადგაყოფილოს ინგლისის მოსახლეობის მოთხოვნა. (საკდესი).

ნ. ვ. პოდგორნის ჩამოსვლა ეგვიპტეში

ბრაზავილი, 7 აპრილი. (საკდესი). ეგვიპტეში ჩამოვიდა ნ. ვ. პოდგორნი. ეგვიპტეს ეროვნული ინფორმაციის სააგენტოს ცნობით, ეგვიპტეში ჩამოსულ სტუმრებს ეგვიპტის ეროვნული ინფორმაციის სააგენტოს ინფორმაციის მინისტრი ... ...

სურათზე: ჭადრაკში მსოფლიოს პირველობაზე ნონა გაფრინდაშვილისა და ალა კუზნეცოვის მატჩის საზეიმო გახსნა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

პირველი სვლა ალას ეკუთვნის

მოსკოვიდან ექს-ჩემპიონი მ. ეივე გაზაფხულის პირველი მერცხალი გახლავთ, რომელიც დასავლეთიდან სხვ კავშირს ეწვია. იგი იმყოფებოდა ტალინში, შემდეგ ერევანში. თორმეტ აპრილს კი ჰოლანდიელი გროსმაისტერი ფიდეს სახელით საზეიმოდ გახსნის ტ. პეტროსიან-ბ. სპასკის მატჩს მოსკოვში.

ჩვენ შემთხვევით როდი დავიწყეთ ჩვენი მიმოხილვა მ. ეივეს მოხსენიებით. შარშან იგი თბილისს ესტუმრა და შემდეგ იმყოფებოდა ნ. გაფრინდაშვილის მშობლიურ ქალაქ ზუგდიდში. სწორედ ზუგდიდში გამოაშკარავდა ერთი დეტალიც. ჩვენ ყოველთვის მივიჩნევდით, რომ მ. ეივემ თავისი საჭადრაკო პრაქტიკის მანძილზე ორჯერ წააგო მსოფლიოს პირველ ჩემპიონ ვერა მენჩიკთან. სწორედ ზუგდიდში პროფესორმა ეივემ განაცხადა, რომ იგი ვ. მენჩიკთან ორჯერ კი არა, სამჯერ დამარცხდა. ჩვენ რაღა დაგვრჩენია, უნდა დავუჯეროთ ამსტერდამელ პროფესორს.

„კომუნისტის“ მკითხველები კარგად ერკვევიან ყველა საჭადრაკო მოვლენაში. მათ, რა თქმა უნდა, იციან რომ თავის დროზე მ. ეივე „ვ. მენჩიკის სახელობის კლუბის“ პრეზიდენტი იყო. 1935 წელს მოსკოვის დიდ საერთაშორისო ტურნირში ვ. მენჩიკმა ფრიად წარუმატებლად ითამაშა. მისი მთელი „მოსავალი“ სამი ყაიმი გახლდათ. ის ორი გროსმაისტერი, რომელთანაც ვ. მენჩიკმა შეხვედრები ყაიმით დაამთავრა, ამ მომოხილვის ავტორები არიან. ამიტომაც ჩვენ ვითვლებოდით „ვ. მენჩიკის სახელობის კლუბის წევრებად“ (ამ კლუბის წევრებად ირიცხებოდნენ მხოლოდ ის მოჭადრაკეები, რომელთაც წააგეს ან ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები ვ. მენჩიკთან).

ვერა მენჩიკის სიკვდილის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის საჭადრაკო სკოლის ღირსებას დიდხანს კარგად იცავდა ნინა გრუშკოვა-ბელსკა. ახლა ნინას საპასუხისმგებლო ადგილი უკავია ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფირმაში და ჭადრაკისათვის დრო აღარ რჩება, მაგრამ ნინას ძალიან უყვარს ჭადრაკი. იგი მეგობრობს საბჭოთა მოჭადრაკეებთან და არაერთხელ ქალთა შორის მსოფლიო პირველობების მსაჯი ყოფილა.

თბილისამდე ჩვენ ერთად ვმგზავრობდით. ნინა გრუშკოვა-ბელსკას მთარგმნელი არ სჭირდება. იგი კარგად ლაპარაკობს რუსულად. თბილისში ჩვენ მარტო წვიმა როდი დაგვხვდა, არამედ ნონა გაფრინდაშვილის ღიმილი.

რას აკეთებს ახლა ალა კუზნეცოვი? იგი უკვე სამი დღეა თბილისშია. აკლიმატიზაციის პერიოდმა გაიარა. პრეტენდენტმა გადაწყვიტა ბინად სასტუმრო „ინტურისტი“ აერჩია, რომელიც ყველაზე უფრო წყნარია თბილისში. მოჭადრაკეებს სხვადასხვანაირი ხასიათი აქვთ. ზოგი ამჯობინებს ახალ მშვენიერ სასტუმრო „ივერიას“.

ნონასა და ალას პირველი შეხვედრა კვირას მოხდა, როდესაც მატჩის არბიტრმა კენეისყრა მოაწყო. ეს პროცედურა სასტუმრო „ივერიაში“ ჩატარდა, თითქმის დახურულ კარში. ამიტომ ჩვენ არც კი ვიცით, როგორ გაუღიმეს ერთმანეთს მეტოქეებმა. ის კი გავიგეთ, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ნონამ შეხთავაზა ალას პირველად ეყარა წილი. პრეტენდენტმა თავის მხრივ თავაზიანობა გამოიჩინა და ეს უფლება ჩემპიონს დაუთმო. მეტოქენი ერთმანეთს ფრიად თავაზიანად ექცეოდნენ და ბოლოსდაბოლოს პირველად ალა კუზნეცოვამ იყარა კენჭი. მან უფლება მიიღო პირველ პარტიაში თეთრებით ეთამაშა.

საყურადღებოა, რომ ნონას უკვე მესამედ მოუწევს პირველ პარტიაში შავებით ითამაშოს. არა უშავს, საჭადრაკო პარტიაში პირველი კი არა, უკანასკნელი ხვლა წყვეტს. მე ვფიქრობ, მკითხველებიც დამეთანხმებიან.

თეთრები თუ შავები, ეს მნიშვნელოვანი ამბავი როდია. ნონას ხსვა მხრივ არ უმართლებს. საქმე ის არის, რომ საფეხბურთო ხეზონი დაიწყო. ეტყობა ნონამ და მატჩის ორგანიზატორებმა ვერ გაუგეს ერთმანეთს. დღეს ნონა საჭადრაკო დაფას უნდა მიუჯდეს. მსოფლიო ჩემპიონს კი ეშინია, რომ უიმისოდ თბილისის „დინამო“ ვერ გაუმკლავდება მოსკოვის „ტორპედოს“.

იმავე დარბაზში, სადაც 1965 წელს სპასკისა და ტალის ხაინტერესო მატჩი დაიწყო, გუშინ ჩვენ ვნახეთ ნონა, ნანა და ნინა. ეს მოხდა თბილისის პიონერთა სასახლის სარკეებიან დარბაზში. მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ხარაძე. ფიდეს ვიცე-პრეზიდენტმა ბ. როდიონოვმა მატჩი გახსნილად გამოაცხადა. შემდეგ ჩვენ მოვუსმინეთ შეჯიბრების მთავარ მსაჯს ნ. გრუშკოვა-ბელსკასა და სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონ ნ. ალექსანდრიას.

დიდი მატჩი დაიწყო.

სალო ფლორი,
ანდრე ლილიენტალი,

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

ი. ამირეჯიბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, ენგურჰესის პროექტის მთავარი ინჟინერი ირაკლი ალექსანდრესძე ამირეჯიბი.

ი. ამირეჯიბი დაიბადა 1907 წელს თბილისში. 1932 წელს დამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო „თბილჰიდროენერგოპროექტში“, სადაც მაშინ ერთდროულად გეგმარდებოდა ზაპესის მეორე რიგის, მშენებლობა და აჭარისწყლისა და ალაზნის ჰიდროელსადგურები. შემდეგ იგი ხრამჰესის საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელია. სამამულო ომმა ი. ამირეჯიბს დროებით შეაწყვეტინა საყვარელი საქმე. იგი სამშობლოს დამცველთა რიგებში ნადგომის დამთავრებისა შემდეგ ი. ამირეჯიბი დაუბრუნდა მშვიდობიან ცხოვრებას და მალე მისი ხელმძღვანელობით დაფუძნდა მდინარე თერგზე ეზმის ჰიდროელსადგურის პროექტი, რომელიც საუფლოდ დაიდო კედლიც მის განხორციელებას. 1958 წელს მისი ხელმძღვანელობით შესრულდა ნამახვანჰესის საპროექტო მოცემულობა. მალე კი, როცა მდინარე ეფეურზე უნიკალური ჰიდროელსადგურის მშენებლობა დაიწყო, პროექტის მთავარი ინჟინერის უფლებად ძმები ი. ამირეჯიბი, და პასუხსაგებ საქმე მას დაეკისრა.

დიდი ცოცხალი, შესანიშნავი ინჟინერული ინტუიცია და ზრომბოლოგიური გამოიჩინა ი. ამირეჯიბმა ენგურჰესის მშენებლობის საფუძველ დაგეგმარების დროს. იგი უდროოდ გამოაკლდა ენგურჰესის მშენებელთა რიგებს. მის ნაკვალევ და გამოცდილებას კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება შეეძლო.

უანგარო ადამიანის, დიდი სპეციალისტის, საუკეთესო მამულიშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების, ამხანაგებისა და ნაცნობების გულში.

საქმთამავარენერგო; თბილჰიდროპროექტი; საქიდროენერგოშენი; ა. ვინტერის სახელობის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი; ა. დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტი.

იტალიელი მწერალი—ჩვენი სტუმარი

გ. პარიზე: გულთბილია თქვენი ხალხი

რამდენიმე დღეს საქართველოში იმყოფებოდა გამოჩენილი იტალიელი მწერალი გიორგიო პარიზე.

მისი ექვსი რომანი, პუბლიცისტურ-ფილოსოფიური ნარკვევები, კრიტიკული წერილები მრავალგზის არის გამოცემული იტალიაში, დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, თარგმნილია ფრანგულად, ინგლისურად, გერმანულად, ეპანურად, სკანდინავიის ქვეყნების ენებზე.

გიორგიო პარიზე აქტიურად მუშაობს კინოშიც. მან ფრედერიკო ფელინისთან ერთად დაწერა მსოფლიოში დიდად გახმაურებული ფილმის „8 1/2“ სცენარი. ის თანამშრომლობს იტალიელ კინორეჟისორ ანტონიონისთანაც. გ. პარიზეს ახალი პიესა „ნატურალური აბსოლუტი“ იდგმება იტალიის მრავალ თეატრში.

გ. პარიზეს რომანს „პატრონი“ მიენიჭა იტალიის უმაღლესი ლიტერატურული პრემია — „ვიარეჯო“. ის ახლა ამ პრემიის მინიჭებელი ჟიურის თავმჯდომარეა. გ. პარიზეს რომანმა „ლამაზი მდედელი“, რომელიც 1954 წელს გამოვიდა (ის მაშინ 25 წლისა იყო), მსოფლიო აღიარება ჰპოვა, თოთხმეტჯერ გამოიცა იტალიაში.

გ. პარიზეს გამოცემული აქვს წიგნები, ნარკვევები ჩინეთზე, კუბაზე, სადაც ის კარგახანს იმყოფებოდა, სამხრეთ ვიეტნამზე, ნიგერიაზე, კერძოდ ბიაფრაზე. შარშან ზაფხულს, სტუდენტთა მღელვარების დროს ის პარიზში გაფრინდა და ადგილზე ერკვეოდა იქ შექმნილ ვითარებაში.

ამჟერად აბჟოთა კავშირიდან ის ჩინეთის გავლით ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიემგზავრება, შემდეგ მეხრეთ ლაოსში, კამბოჯაში და კვლავ ნიგერიაში.

„თანამედროვე მწერალი თუ მეკრს არ მოგზაურობს, ისე მისი ცხოვრება ვერ წარმომიდგენია“ — უთხრა მან ქართველ კოლეგებს.

საბჭოთა მკითხველს საშუალება ჰქონდა გასცნობოდა მის ორ ნაწარმოებს. რომანი „პატრონი“ დაიბეჭდა „ინოსტრანნაია ლიტერატურაში“ (1966 წ. № 8). მისი ნარკვევი საამხრეთ ვიეტნამზე გამოაქვეყნა ჟურნალმა „ნოვი მირმა“ (1968 წ. № 6).

გ. პარიზე, უაღრესად წინააღმდეგობრივი ხასიათის მწერალი, სოციალურ-ფსიქოლოგიური რომანის ბუმბერაზი ოსტატია. რომანში „პატრონი“ შესანიშნავად არის დახატული გვიანდელ ბურჟუაზიული, ე. წ. „ნეოკაპიტალისტური“ საზოგადოების შეგნების კრასი: მწერალი ოსტატურად აღწერს საზოგადოებას, სადაც ადამიანი ადამიანზე ბატონობს, ეს ბატონობა არც თუ იშვიათად სადიზმ-მაზოხიზმს ესაზღვრება. ის მოგვითხრობს იმ ნევრასტენიაზე, ნევროზებზე, რომლებსაც ეს სიტუაცია იწვევს, ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, იდეოლოგიურ ვაკუუმზე, რომელშიც იმყოფება დასავლეთის საზოგადოების გარკვეული ნაწილი.

როგორც რომანისტს გ. პარიზეს ახასიათებს სხარტი, დახვეწილი, ეკონომიური სტილი, წერის თანამედროვე მანერა.

გ. პარიზემ ‘აქართველოში დათვალიერა თბილისი, გორი — იქაური მუზეუმები, ღირსშესანიშნაობანი, ბორჯომი. იყო კინოსტუდიაში, ნახა სურათი „ვეფრება“, ესაუბრა სტუდიის დირექტორს თ. გორდელაძეს.

საინტერესო საუბრები გაიმართა ქართველ მეცნიერებთან და მწერლებთან მსოფლიოში არსებულ დღევანდელ მეტად რთულ პოლიტიკურ, კულტურულ ვითარებაზე, მწერლობის ბედზე, ენის საკითხებზე, ახალგაზრდობის მწვავე პრობლემებზე და სხვ. საქართველოში მას ესაუბრნენ აკადემიკოსები გ. წერეთელი, ე. ანდრონიკაშვილი, პოეტ-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი გრ. აბაშიძე, მწერალთა კავშირის მდივანი ი. ნონეშვილი, ახალგაზრდა პოეტი რ. ამაშუკელი, ამ სტრიქონების ავტორი.

გ. პარიზეს თან ახლდა ცნობილი მოსკოველი ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი, მთარგმნელი გიორგი ბრეიტბურდი.

ვლ. მაჰავარიანი.

• • •

თბილისიდან გამგზავრების წინ გიორგიო პარიზეს გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა:

— ქართველი კოლეგების თავაზიანი მოწვევით. — თქვა მწერალმა, — თქვენს ქვეყანაში მხოლოდ მცირე ხნით ვიყავი, — დ, ცხადია, ბევრის ნახვა ვერ მოვასწარი. საერთოდ, გულახდილად უნდა გითხრათ, ქართულ მწერლობას სუსტად ვიცნობ, წამიკითხავს მხოლოდ რუსთაველი, სწორედ ამიტომაც რემთვის ძალიან საინტერესო იყო ქართველ კოლეგებთან შეხვედრა და საუბარი.

ვნახე თენგიზ აბულაძის „ვედრება“, ჩემი აზრით, უაღრესად საყურადღებო ფილმი. ძალიან მომეწონა ნაწარმოების გამომსახველობითი მხარე, ორიგინალური სიმბოლური პასაჟები, რომლებმაც, უნდა ვთქვა, ეიზენშტეინისა და ბერგმანის ფილმები გამახსენა. მშვენიერია ოპერატორის ნამუშევარი, კარგია ტიპაჟი. დარწმუნებული ვარ ეს რეჟისორი დიდი მომავლის შემოქმედია.

ვიუავი გორში, ბორჯომის ხეობაში, ძალიან ნასამოვნები ვარ უბრალო ადამიანებთან შეხვედრებით, ნამდვილად სამაგალითოა თქვენი ხალხის გულთბილობა, სტუმართან შეხვედრის კულტურა. ამიტომ თავს მოვალედ ვთვლი გაზეთის საშუალებით გამოვთქვა ჩემი გულწრფელი მადლობა და კმაყოფილება.

• • •

სურათზე: გიორგიო პარიზე თბილისში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ჭადრაკი

ნონა თუ ალა?

კალათბურთი

კრიზიორები ცნობილია

ფეხბურთი

დღეს ათი მატჩია

წყალბურთი

ლიდერობს ჩემპიონი

„კომუნისტის“ სპორტი

ჭადრაკის მერიდიანებზე

მონტე-კარლოს საერთაშორისო „მონაკოს“ მეხუთე ტურნირში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების გროსმაისტერთან უ. ლომბარდისთან. ვ. სმისლოვს 3,5 ქულა აქვს და ლიდერობას ინარჩუნებს.

სარაევოს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამაშდა 13 ტური. სატურნირო ცხრილს სათავეში კვლავ საბჭოთა გროსმაისტერი ვ. კორჩნოი დგას, რომელსაც 10,5 ქულა აქვს.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ა. კარპოვმა გაიმარჯვა ლენინგრადში გამართულ შესარჩევ ტურნირში. იგი მონაწილეობას მიიღებს პაბუკთა მსოფლიო პირველობის გათამაშებაში, რომელიც მიმდინარე წლის აგვისტოში გაიმართება სტოკჰოლმში.

სოხუმი რესპუბლიკურ საჭადრაკო პირველობაზე გათამაშდა 11 ტური. ლიდერია ა. ბოკუჩავა, რომელსაც 9,5 ქულა აქვს.

წარმატებითს სტარტს გისურვებთ...

8 აპრილი დიდი ფეხბურთის დღეა. მართალია, XXXI ჩემპიონატი ოთხი დღით ადრე გაიხსნა, მაგრამ ამ ზეიმში ყველას არ მიუღია მონაწილეობა. ამიტომ დღევანდელი შეხვედრები ბევრისათვის პირველი მატჩი იქნება. ასეთთა რიგებს მიეკუთვნება ქუთაისის „ტორპედო“, რომელიც დღეს საკუთარ მოედანზე მოსკოვის „ლოკომოტივთან“ მატჩით ჩაებმება ბრძოლაში.

წლევანდელი პირველობა ქუთაისელთათვის მეტად პასუხსაგებია. თუ ადრე უმაღლეს ლიგას მხოლოდ ერთი გუნდი ტოვებდა და ტორპედოელები ახერხებდნენ უძლიერესთა რიგებში დარჩენას, წლევანდელი პირველობის დებიუტანტი ითვლისწინებს ამ ლიგიდან ერობაშად 4 გუნდის გასვლას. როგორც ვხედავთ, მდგომარეობა მეტად რთულია.

მაგრამ ტორპედოელთა საბრძოლო განწყობილება ჩინებულია და ჩვენც გვჯერა მათი. თუ ამას დავუმატებთ, რომ ქუთაისელთა რიგებს შეემატნენ ცნობილი მეკარე კოტრიკაძე და თავდამსხმელი ქიქავა, გუნდი თავისი რეზერვით საკმაოდ ძლიერად გამოიყურება. რა თქმა უნდა, თბილისში დამარცხების შემდეგ მოსკოვის „ლოკომოტივი“ დაკარგულის ანაზღაურებას ქუთაისში შეეცდება, მაგრამ სტარტის სიხარული და საკუთარ ძალებში დარწმუნება ქუთაისელებსაც ხომ სჭირდებათ.

ერთი სიტყვით, „ტორპედო“ დიდი ამოცანის წინაშე დგას. წარმატება ვუსურვოთ მას.

• • •

სურათებზე: ზეკით ქუთაისის „ტორპედოს“ უფროსი მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ვსევოლოდ ბლინკოვი; ქვევით — „ტორპედოს“ გუნდი. სხდან (მარცხნიდან) — ზარია, ერქომაიშვილი, ხერხაძე, გადელია; დგანან — ჩხაიძე, ა. ბლინკოვი, ნაკუფბია, წვერავა, შერგელაშვილი, ებრალიძე, კვასხვაძე.

ფოტო თ. ჯაბავაძისა.

მატჩები ბათუმსა და ტყიბულში

ბათუმსა და ტყიბულში გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში.

ბათუმში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსა“ და ყარაჩაელების „შახტიორის“ გუნდები. წარმატება სტუმრებს ხვდათ ანგარიშით 1:0.

ტყიბულში ერთმანეთს შეხვდნენ უსტ-კამენოგორსკის „ზოსტოკი“, და ტყიბულის „მეშახტე“. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

ლუბლიანა შეხვედრა

იმ ათი შეხვედრიდან, რომელიც უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა ოლიქტივებს ექნებათ დღეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, ერთ-ერთ ცენტრალურ თამაშად ითვლება მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩი თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

ამ გუნდების ფუტბლიორებს კი გუშინ ჰქონდათ პაექრობა. ბრძოლა შეუპოვარი გამოდგა, მაგრამ მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — 0:0.

კალათბურთის ფარეგთან

ჩემპიონობა მერვეჯერ

ტალინში კალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ასპარეზობის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე უკვე ცნობილი იყო ოქროს მედლის მფლობელი. ისევე როგორც გასულ სეზონებში, უძლიერესის ტიტული დაიმსახურა რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის გუნდმა.

კვირას ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გამოვლინდნენ აგრეთვე ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები. ეს გუნდები არიან მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“ და ვილნიუსის „კიბირკშტისი“.

კვლავ წარუმატებლად გამოვიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეუნდი, 6 აპრილს მან წააგო ტარტუს „უნივერსიტეტთან“ 66:79. ორი დანარჩენი მატჩის შედეგები ასეთია: „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 66:65, „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) 47:39.

გუშინ გაიმართა უკანასკნელი ტურის შეხვედრები.

ლიდერთა შეხვედრები

კალათბურთულ ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობის კვირის მატჩებიდან ყურადღების ცენტრში იდგა ლიდერების — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და სსრ კავშირის ჩემპიონის თბილისის „დინამოს“ შეხვედრა მოსკოვში. მატჩი არმიელთა უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 97:68.

გუშინ ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერადაც ცსკა-მ გაიმარჯვა 79:75.

მეტად დაძაბული გამოდგა მეორე მატჩი თბილისში „ბურევესტნიკისა“ და ტარტუს „კალევის“ გუნდებს შორის. პირველი ტაიმი თბილისელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა. იყო მომენტი, როდესაც ქუთათა სხვაობამ თოთხმეტს მიაღწია. პირველი ტაიმი „ბურევესტნიკმა“ 6 ქულის სხვაობით (42:36) მოიგო. მეორე ნახევარში სტუმრებმა წონასწორობა აღადგინეს. ბოლო წუთებში ანგარიში იყო 53:53, 55:55, 57:57, 59:59, 61:61, 63:63, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში თბილისელებმა დაუშვეს ორი მიუტევებელი შეცდომა, პირველ რიგში ლეკავამ და დამარცხდნენ 73:75.

□ □ □

ლვოვში შეხვედრამდე

ლენინგრადსა და კიევში ამოიწურა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ასპარეზობის მორიგი ეტაპი.

ლენინგრადის ჯგუფში წარმატებით გამოვიდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საფულსნო კლუბის წყალბურთელთა კოლექტივი, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. კვირას სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდს ბაეკრობა ჰქონდა ლენინგრადის „ბალტიკასთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით 4:2. თვალსაჩინოდ გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა თბილისის „დინამომ“. 6 აპრილს დინამოელები დამარცხდნენ ლვოველ თანაკლუბელებთან შეხვედრაში 2:5.

კიევში შედგა ორი დასკვნითი მატჩი. მოსკოვის „ტორპედოსა“ და კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილის (ბაკო) გუნდების შეხვედრაში მეტოქეებმა 4 ბურთი გაიტანეს, მაგრამ წარმატება არც ერთს არ ხვდა, ფრე — 2:2. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა მოუგო კიევის „დინამოს“ 7:6.

ლიდერობს გასული წლის ჩემპიონი მოსკოვის „დინამო“ ინარჩუნებს, რომელსაც 24 ქულა აქვს. ლიდერს 3 ქულით ჩამორჩება სამხედრო-საზღვაო ფლოტის წყალბურთელთა კოლექტივი. თბილისის „დინამოს“ 10 ქულით მეექვსე ადგილი უკავია.

ხელი შეეშალათ ნვიმამ

ბაკო, 7 აპრილი. (სკედსი). წვიმა ვგმო არ დამთავრებულა ჩოგბურთელთა ერთიელების ასპარეზობა.

გაირკვა მხოლოდ წყვილთა თანრიგის შეჯიბრების გამარჯვეტელნი. კარგად თამაშობდა ჩვენი ქვეყნის ექს-ჩემპიონი თბილისელი სტუდენტი ალექსანდრე მეტრეველი, რომელმაც ამას წინათ სერიოზული ოპერაცია გადაიტანა. მან ბაკოელ სერგი ლიხაჩოვთან ერთად მოიგო ვაჟთა წყვილების შეჯიბრებაში, ხოლო ოლგა მოროზოვასთან ერთად შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში. ქალთა წყვილებში უძლიერესნი იყვნენ ტბილელ კიევი და მოსკოველი მარიამ კული.

იპოდრომზე სეზონი გახსნა

„კომუნისტის“ პრიზი — ვ. ტაშილოვს

იპოდრომზე ცხენოსნური სეზონის გახსნა თავისებური სპორტული დღესასწაულია. წლევანდელი სეზონი შედარებით ადრე — 6 აპრილს გაიხსნა. მართალია, ამანდი ხელს არ უწყობდა ასპარეზობის მონაწილეებს, მაგრამ შეჯიბრებამ მაინც ორგანიზებულად ჩაიარა. ინტერესს ასპარეზობისადმი ისიც ზრდიდა, რომ აქ გამოდიოდნენ საუკეთესო მხედრები, სხვადასხვა აღიარებულ ცხენსაშენთა საუკეთესო ცხენები.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გათამაშდა „სეზონის გახსნის ალსნიშნავი“ პრიზი. ეს პრიზი დოღში 1.600 მეტრზე მოიპოვა ბ. ვასილენკომ. „გახსნის“ პრიზი კი (დოღი 1.800 მეტრი) წილად ხვდა ხალჩიკელ მხედარს ნ. შერიევს.

დაწესებული იყო აგრეთვე ჩვენი გაზეთის — „კომუნისტის“ პრიზი 1.500 მეტრზე დოღში. მისი მფლობელი გახდა მხედარი ყაბარდო-ბალყარეთიდან ვ. ტაშილოვი. ცხენი „ჯენალი“.

გაზეთ „ხოფლის ცხოვრების“ პრიზი დოღში 1.500 მეტრზე მოიპოვა ა. შათირიშვილმა.

ა. საჯაია.

• • •

სურათზე „კომუნისტის“ პრიზის მფლობელი ვ. ტაშილოვი ცხენით „ჯენალითთ“.

ფოტო ა. აზიზოვისა.

ზემოთხვევა

გრძოლა ძუ მგელთან

ფესაზღვრე ვლადიმერ ძიუბას, როდესაც იგი სასაზღვრო შემოვლის განრიგში მიდიოდა, ვერც კი წარმოედგინა, რომ რაღაც სამიოდე საათის შემდეგ უჩვეულო ორთაბრძოლაში ჩაებმებოდა.

იმ დღეს ისეთი ნისლი იყო ჩამოწოლილი, რომ ორ ნაბიჯზეც არაფერი ჩანდა. სიგუშაგოს შემოვლის დროს ვლადიმერმა მხეცის ლანდი შენიშნა. მესაზღვრემ ყურადღება არ მიაქცია, რადგან ძაღლი იგონა და გზა განაგრძო. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ იგი მკვეთრად შემობრუნდა და სწორედ ამან გადარჩინა: მას თავს დაესხა ბაფთრებული ძუ მგელი. ვლადიმერმა ეხერგიული დარტყმით იქით გადატყორცნა მხეცი, შემდეგ სწრაფად დაატრა თავზე და მაგრად წაუჭირა ხელები ყელში. საშველად მოსული მორიგის დახმარებით ძიუბამ მხეცი შეიბოჭა.

ა. ზვეცოვი.

რადიო

9 აპრილი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.30 — პოპულარული კამერული მუსიკის კონცერტი, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 11.05 — ნაწყვეტები ქართული ოპერებიდან, 12.30 — ახალგაზრდობისათვის. ნარკვევი „შენ ხარ ვენახი“, 12.45 — ლ. იაშვილი. სიმფონიები, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.20 — ე. პატლაენკო. ფანტასტიკური ვარიაციები არფისათვის, 13.40 — ბლინკა. საორკესტრო პიესები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ს. ყვანია. საფორტეპიანო ციკლი „პიეზაეები“, 17.30 — მოსწავლეთათვის. კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — მღერის ირ. შუშანა, 19.00 — ციკლიდან „ეკონომიური რეფორმის საკითხები“. საუბარი „ადამიანი და რეფორმა“, 19.15 — ინგლისური სიმღერები, 19.45 — პიესები ელექტრომუსიკალურ საკრავთა ანსამბლისათვის, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — რადიოეკურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“, 21.00 — „ძიღისპირელი“, 21.10 — შ. მშველიძე. სიმფონიური პოემა „მინდია“, 21.45 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვი), 22.00 — კ. პაუტოვსკი. „ფარაჯიანი მოხუცი“. რადიოდადგმა, 22.50 — ანუშვიცი. „ნევის მელოდიები“, 23.30 — მოკარტი. ნაწყვეტები ოპერიდან „ჯადოსნური ფლეიტა“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

8 აპრილი

11.05 — კინონარკვევი „შენი დრო“, 11.15 — მხატვრული ფილმი „იმედის ნაპირი“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.35 — ჩვენი სახელოვანი წინაპრები“, 18.55 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „დინამო“ თბილისი — „ტორპედო“ მოსკოვი, 20.45 — კონცერტი, 21.05 — მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის, 21.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „პატარა უფლისწული“, 22.25 — მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის, 22.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 11 საათიდან.

თეატრები

8 აპრილი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მზიანი ღამე, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საამართლო ქრონიკა. **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — წითელქუდა (№ 16 ამონ. დილის 10 ს. და 30 წ.), **თოჯინების ქართული** — გულივერი, ლილიპუტების ქვეყანაში (11 ს. და 1 ს.).

კინო

8 აპრილი

რუსთაველის სახელობის — **მოუხელთებელთა ახალი თავგადასავალი**, ოქტომბერი — **ძმები კარამაზოვები** (I, II სერია 10, 2-30, 6-45 წ., III სერია 1, 5-15, 9-30 წ.), ამირანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, ხაბარტაკი, კოლხიდა, ბათუმი, ბავშვთა სახელობის კულტურის სახლი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — **დიდად დასაფასებელ პრემიები**, საქართველო (მწვანე დარბაზი), გაზაფხული — **სოფლელი დეტექტივი**, კოლხიდა, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), კომკავშირელი, თანამგზავრი, სპორტი — **პოემა ქვაში** (I, II სერია), 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), კოლმეურნე — **ტარიელ გოლუა**, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — **ნიღბიანი შეამბოხე**, კომკავშირელი — **მამაცი გამცდენი**, **ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი, ნაკადული, ოფიცერთა სახლი — **მკვდარი სეზონი** (I, II სერია), ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **განგაში**, ბათუმი — **ლელების მთა**, ეკრანი — **ბუბუს საცოლე**, კოსმოსი — **უკანასკნელი რაუნდი** (II ს.), **ბეტარი ისევ უნაგირზე**, **მაშენკა** (I ს.), **შესანიშნავი თავხედი**, **ოქროს ტბა** (4 ს. და 30 წ.), **გაზის ნინოლე**, **მაშენკა** (8 ს.).

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

„კომუნისტი“ | თბილ